დიდება კომუნისტური შრომის დამკვრელებსა და კოლექტივებს! დიდება ნარმოების მონინავეებსა და ნოვატორებს!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

29 აპრილი ოთხშაბათი 1970

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი

№ 100 (14704)



ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანაში სულ უფრო ფართოვდება სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის. აქ გაბედულად ნერგავენ შრომის მოწინავე მეთოდებს. რუსთაველმა ქიმიკოსებმა პირველებმა ჩასპიდეს ხელი შჩეკინოელთა გამოცდილებას. გაიზარდა მუშათა მომსახურების ზონა, თვითეულმა მუშამ შეისწავლა მონათესავე პროფესია, გადიდდა გამოძუშავების ნორმები, ამის შედეგად გამოთავისუფლეს დიდძალი მუშახელი სხვა სამუშაოზე გამოსაყენებლად.

შჩეკინოელთა მოძრაობაში ერთ-ერთი პირველი ჩაება საქსოვი სამკერავის ოსტატის მოადგილე თ. ბელელაძე და მოწინავე მუშა ნ. შპიცი, რომლებსაც ამ სურათზე ხედავთ. ისინი დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

ფოტო ა. საპკოვისა.

ხალხის ჭანდიდატები

ოგორც ყოველთვის, ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნებს ჩვენი ხალხი უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით, ქვეყნისა და მშრომელთა კეთილდღეობისათვის, უკეთესი მომავლისათვის ზრუნვით ეკიდება. ეს გასაგებიც არის, რადგან ხალხი თავის რჩეულებს, თავის წარმომადგენლებს გზავნის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში, იქ, სადაც წყდება ქვეყნის ბედი, კომუნიზმის მშენებლობის აქტუალური პრობლემები. ამიტომ არის, რომ ახლა ჩვენს ქვეყანაში უდიდესი პოლიტიკური და საწარმოო აქტივობის ვითარებაში მიმდინარეობს მზადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის. ამჟამად საარჩევნო კამპანია უკვე შევიდა ახალ ფაზაში — **24 აპრილს დაიწყო სსრ კავშირის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების კანდიდატთა დასახელება.**

ეს დიადი პოლიტიკური კამპანია იმით არის აღსანიშნავი, რომ იგი მიმდინარეობს მშობლიური კომუნისტური პარტიის დამაარსებლის, ჩვენს პლანეტაზე პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელის ვ. ი. ლენინის საიუბილეო წელს. ცხადია, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მშრომელები ამ დიად მოვლენებს უკავშირებენ თავიანთ შრომითს წარმატებებს ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში.

ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში, სამრეწველო საწარმოებსა და კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში დიდი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში იმართება ხალხმრავალი კრებები, ხალხი თავის კანდიდატებად ასახელებს იმათ, ვინც უანგაროდ ემსახურება მას, თავის ცოდნასა და მთელ თავის შრომითს საქმიანობას, ენერგიას ახმარს ჩვენი ქვეყნის შემდგომი ძლიერების განმტკიცებას, ადამიანების კეთილდღეობის ამაღლებას, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას, ვინც თავი გამოიჩინა ხალხის სამსახურში, მატერიალური დოვლათის შექმნისათვის ბრძოლაში.

ყველგან, ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში ხალხმრავალ კრებებზე, სადაც დეპუტატობის კანდიდატების წამოყენება მიმდინარეობს, ამომრჩევლები თავიანთ დეპუტატობის პირველ კანდიდატებად ასახელებენ ჩვენი ლენინური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებს. დეპუტატობის ერთ-ერთ პირველ კანდიდატად საქართველოში დასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მჟავანაძე. ხალხი ასახელებს აგრეთვე თბილისის ჩარხსამშენებლო ქარხნის კომუნისტური შრომის დამკვრელს საინტერუმენტო საამქროს ხარატს ზ. გ. სარალიძეს, თბილისის № 1 სამკერავლო ფაბრიკის მკერავს, კომუნისტური შრომის დამკვრელს რ. ა. სოკურაშვილს, თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მოწინავე მქსოველს ლ. ზ. ბანეთიშვილს, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მოწინავე მეფოლადეს მ. პ. სპანდერაშვილს, ქუთაისის № 4 სამკერავლო ფაბრიკის მოწინავე მკერავს მ. თ. ვახტანგაძეს, ბათუმის ქარხანა „ელექტროხელსაწყოს“ მეგრაგნილეს მ. ს. წინარიძეს და ხალხის სხვა საუკეთესო შვილებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად მოწონაევე ადამიანებს რომ ასახელებენ, ამით ამომრჩევლები ცხადყოფენ, რომ საბჭოთა ქვეყანაში არის ნამდვილი დემოკრატია, ხორციელდება ხალხის ხელისუფლება, რომ ოვითი ადამიანები აქტიურად მონაწილეობენ სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში.

მშრომელთა კრებები გვიჩვენებენ, რომ ამომრჩევლები დიდად არიან დაინტერესებულნი მშობლიური სახელმწიფოს საქმეებით, საბჭოების ყველა სახელმწიფო ორგანოს საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესებით. გამოდიან რა მაღალი საზოგადოებრივი ტრიბუნიდან კრებების მონაწილენი — კომუნისტები და უპარტიოები ერთსულოვნად და მხურვალედ იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურ კურსს, აცხადებენ, რომ ესწრაფვიან განახორციელონ პარტიის XXIII ყრილობის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებანი.

ისევე როგორც წინათ, ახლანდელ საარჩევნო კამპანიაში კომუნისტური პარტია გამოდის უპარტიოებთან ბლოკით, მჭიდრო კავშირით. ასეთია შესანიშნავი ტრადიცია, რომელიც წარმოშვა ჩვენმა საზოგადოებრივმა წყობილებამ, საბჭოთა ცხოვრებამ.

საარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი — დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება — წარმატებით გრძელდება. ახლა მთავარი ის არის, რომ პარტიულმა, პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა იზრუნონ კრებების ორგანიზებულად ჩატარებისათვის, ზუსტად იქნას დაცული საარჩევნო კანონის მოთხოვნები, ხალხს საშუალება მიეცეს გამოთქვას თავისი ფიქრები და სურვილები. მთელი პრინციპულობით, საქმიანად, ფართოდ და ყოველმხრივ განხილულ უნდა იქნას დასახელებული კანდიდატების მოლაწეობა.

ცხადია, საარჩევნო კამპანიის სული და გული პარტიული ორგანიზაციებია. ახლა მთელი იდეოლოგიური ზემოქმედების საშუალებანი მიმართულ უნდა იქნას ამ უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის. აგიტატორთა, პროპაგანდისტთა საუკეთესო ძალები უნდა დაირაზმონ მოსახლეობაში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის უკეთ წარმართვისათვის. ამ მუშაობის მთავარი შინაარსი უნდა იყოს ლენინური იდეები, პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის, სოციალისტური დემოკრატიის პრინციპების, საარჩევნო სისტემის ახსნა-განმარტება, ფართო პროპაგანდა. ყოველივე ეს უზრუნველყოფს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების წარმატებით ჩატარებას.

პარტიული ორგანიზაციების მთელი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა იმისკენ უნდა წარმართოთ, რომ დავრაზმოთ ქალაქისა და სოფლის მშრომელები პარტიისა და მთავრობის დავალებათა განუხრელად განხორციელებისათვის, თვითეული საწარმოს, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის კოლექტივების მიერ მიმდინარე სამეურნეო წლის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის.

ღირსეულად შევხვდეთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს — ეს ნიშნავს აღვნიშნოთ არჩევნები ახალი პატრიოტული საქმეებით.

ეჭვი არ არის, რომ საქართველოს მშრომელები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად კვლავ დასახელებენ ისეთ ადამიანებს, რომლებიც ამ დიდი ნდობის ღირსი არიან და რომლებმაც თავიანთი მოქმედებით, საერთო-სახალხო საქმისათვის თავდადებით, ენერგიული შრომით დაიმსახურეს პატივისცემა, სიყვარული.

საბჭოთა ადამიანების ერთსულოვნებამ, პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ დარაზმულობამ, რომელიც მკვეთრად ვლინდება ახლა, კომუნიზმის დიად საქმეთა გამარჯვების საწინდარია.

ხალხის ნდობა—ყველაზე ღირსეულთ!

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება

დღითიდღე ფართოვდება მზადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის. საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში ყველგან იმართება წინასაარჩევნო კრებები, რომლებიც ეძღვნება ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებას. ამ კრებების მონაწილენი ასახელებენ ყველაზე ღირსეულ, ყველაზე პატივსაცემ ადამიანებს და მზურვალედ უჭერენ მხარს მშობლიური კომუნისტური პარტიის ლენინურ კურსს, მის საგარეო და საშინაო პოლიტიკას.

ამსანაგი ვ. პ. მჟავანაძე — მნერალთა კანდიდატი

საქართველოს მწერალთა კლუბში გაიმართა საერთო კრება, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელებას თბილისის კიროვის № 162 საარჩევნო ოლქში. კრებაზე გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა გ. ს. გოგიჩაიშვილმა.

სიტყვა ეძლევა რესპუბლიკის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველ მდივანს გ. გ. აბაშიძეს. იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თბილისის კიროვის № 162 საარჩევნო ოლქში ასახელებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს **ვასილ პავლეს-ძე მჟავანაძეს.** ამ წინადადებას შეკრებილნი მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

ილაპარაკა რა კანდიდატის საქმიანობაზე, ორატორმა ხაზი გაუსვა, რომ იგი საქართველოს მშრომელთა დიდი პატივისცემით სარგებლობს, ბევრ რამეს აკეთებს რესპუბლიკის მეცნიერების, კულტურის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აყვავებისათვის. გ. გ. აბაშიძემ აღნიშნა, თუ რა დიდ ყურადღებას უთმობს ვ. პ. მჟავანაძე ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებას. ქართველი მწერლები თავიანთ „ყოველდღიურ საქმიანობაში მუდამ გრძნობენ მის ზრუნვას.

კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ მწერალი-აკადემიკოსი დ. კ. შენგელაია, პოეტი ა. ა. მირცხულავა, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი კრიტიკოსი ბ. დ. ყენტი, პოეტი რ. ა. მარგიანი, მწერალი გ. შ. ციციშვილი, უხუცესი ქართველი მწერალი ს. ი. შანშიაშვილი და მწერალი ი. ბ. ლისაშვილი. ორატორებმა აღნიშნეს, რომ ამხ. ვ. პ. მჟავანაძე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის ღირსეული კანდიდატია და ერთსულოვნად დაუჭერს მხარი დასახელებულ კანდიდატურას. ორატორებმა მტკიცე რწმენა გამოთქვეს, რომ ამხ. ვ. პ. მჟავანაძე კვლავაც არ დაიშურებს ძალ-ღონესა და ენერგიას საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აყვავებისათვის.

კრებამ მიიღო ერთსულოვანი გადაწყვეტილება ამხ. ვ. პ. მჟავანაძის დასახელოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თბილისის კიროვის № 162 საარჩევნო ოლქში და სთხოვოს მას კენჭი იყაროს ამ ოლქში.

დიდი აქტივობით

თბილისი. ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხანა. მის საამქროში იქმნება უახლესი, მაღალმწარმოებელური ტექნიკა. ამ საწარმოს მარკოთ გამოშვებულ პროდუქციაზე დიდი მოთხოვნაა.

აქ 28 აპრილს გამართულმა ხალხმრავალმა წინასაარჩევნო კრებამ ცხადყო, რომ ორჯონიკიძელები როგორც ყოველთვის პირველთა შორის იბრძვიან ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის. კრებამ ჩაიარა ერთსულოვნებისა და შეკავშირების ვითარებაში. კრება გახსნა პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ზ. მ. ზურაბიშვილმა.

ტრიბუნაზეა ქარხნის დირექტორი ლ. ბ. აივაზოვი. მან თქვა, რომ საწარმოს კოლექტივი მომავალი არჩევნებისათვის იმზადება როგორც დიდი და ნათელი დღესასწაულისათვის, რომ არჩევნებისათვის მზადებამ მშრომელთა ახალი პოლიტიკური და შრომითი აქტივობა გამოიწვია. ორატორმა წინადადება წამოაყენა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თბილისის ოქტომბრის № 679 საარჩევნო ოლქში დასახელონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გივი დიმიტრის-ძე ჯავახიშვილი.** მან ილაპარაკა იმ მუშაობაზე, რომელსაც გ. დ. ჯავახიშვილი ეწევა რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე, მაღალი შეფასება მისცა მას.

ამხ. ლ. ბ. აივაზოვის წინადადებას მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

ამხ. გ. დ. ჯავახიშვილის კანდიდატურის დასახელებას ერთსულოვნად დაუჭერეს მხარი. სამსხმელო საამქროს მუშამ გ. გ. მაკარიძემ, ქარხნის ხარატმა ტ. ბ. ამირგულოვმა, საწარმოს ტექნოლოგმა ე. ლ. ჩიხლაძემ, ქარხნის სამმართველოს პარტიბიუროს მდივანმა ვ. ნ. ბაღდასარიანმა. მათ აღნიშნეს, რომ უკვე რამდენიმე წელია გ. დ. ჯავახიშვილი ხელმძღვანელობს საქართველოს მთავრობას და დიდი წვლილი შეაქვს ჩვენი რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანათა წარმატებით გადაჭრის საქმეში.

კრებამ ერთხმად დაადგინა: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თბილისის ოქტომბრის № 679 საარჩევნო ოლქში დასახელოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილი და სთხოვოს მას კენჭი იყაროს ამ ოლქში.

სამტრედიელთა სიტყვა

28 აპრილს სამტრედიის ხისდამუშავებელი კომბინატის მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები შეიკრიბნენ წინასაარჩევნო კრებაზე, რომ დასახელებინათ ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატი.

კრება, რომელიც დიდი პოლიტიკური აქტივობის ვითარებაში ჩაიარა, გახსნა პარტბიუროს მდივანმა ვ. უღრელიძემ.

გამოიხმა კომბინატის დამამზადებელი საამქროს ოსტატი შ. ქვაჩახიძე. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები, თქვა მან, დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენაა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. არჩევნებისათვის მზადება ყოველთვის დიდი აღმოსავლეთია მომდინარეობს. ამხ. ქვაჩახიძემ წინადადება წამოაყენა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად სამტრედიის № 689 საარჩევნო ოლქში დასახელონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გიორგი სამსონის-ძე ძოწენიძე.**

ამ წინადადებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. კოხრეიძემ, პირველი სდფრგლო საამქროს ოსტატმა გ. ადეიშვილმა, დამამზადებელი საამქროს ოსტატმა დ. კალაღეიშვილმა, კომბინატის დირექტორმა გ. კოპალეიშვილმა. ორატორებმა ილაპარაკეს იმ წარმატებებზეც, რომლებსაც რესპუბლიკის მშრომელებმა მიაღწიეს წინა არჩევნების შემდეგ განვლილ პერიოდში, იმ წვლილზე, რომელიც ამ წარმატებათა მიღწევაში შეიტანა გ. ს. ძოწენიძემ.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად დაადგინეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად სამტრედიის № 689 საარჩევნო ოლქში დასახელონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ს. ძოწენიძე და სთხოვონ კენჭი იყაროს დეპუტატობის კანდიდატად ამ ოლქში.

ნავსადგურელთა კანდიდატი

ფოთის ნავსადგური, რესპუბლიკის ზღვის ჭიშკარია. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ალმიანი გემები შემოდიან აქ. ნავსადგურის კოლექტივი წარმატებით ასრულებს თავის საწარმო დავალებებს.

28 აპრილს აქ გაიმართა კოლექტივის კრება, რომელმაც დასახელა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი.

კრების გახსნისას, ნავსადგურის პარტიული კომიტეტის მდივანმა თ. ჭოიავამ სიტყვა მისცა მოწინავე მუშას, ფოთის ნავაჭრო ნავსადგურის მეორე საწარმოო რაიონის მეამწეს, კომუნისტური შრომის დამკვრელ გ. ფარცვანიას.

ჩვენი ნავსადგურის მუშათა და მოსამსახურეთა სახელით, თქვა მან, წინადადება შემომაქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ფოთის № 687 საარჩევნო ოლქში დავასახელოთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი **პეტრე ალექსანდრეს-ძე როდიონოვი.**

ამ წინადადებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი პირველი საწარმოო რაიონის ზეინკლმა ვ. ჩოჩიამ, ნავსადგურის ავტოპარკის მძღოლმა ზ. თავბერიძემ, სანავსადგურო ფლოტის მუშამ კ. ღამბაროვამ, ნავსადგურის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ზ. დოლბაიამ, ნავსადგურის პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგემ ი. კოკლაშვილმა, ნავსადგურის უფროსი ს. ონანიძემ. ორატორებმა აღნიშნეს, რომ პ. ა. როდიონოვიმ დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის აყვავების საქმეში და რწმენა გამოთქვეს, რომ ამხ. პ. ა. როდიონოვი იქნება კომუნისტთა და უპარტიოთა ერთიანი ბლოკის ღირსეული კანდიდატი.

კრებაზე მიღებულ დადგენილებაში ნათქვამია: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ფოთის № 687 საარჩევნო ოლქში დასახელონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი პ. ა. როდიონოვი.

ასახელებენ გურჯაანელი მევენახეები

გურჯაანის რაიონი ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი უდიდესი სოფელი გაითქვეს ცნობილ მევენახეებმა. მომხმარებლები ყოველთვის ჭიქით იხსენებენ „მუკუზანის“ მარკის ღვინოს.

ვრცელია მეკუზნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ზვრები. დიდი პოლიტიკური შეგნებულობის ვითარებაში ჩაიარა აქ 28 აპრილს საბჭოთა მეურნეობის მუშათა, სპეციალისტთა და მოსამსახურეთა კრებამ, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებას.

კრება გახსნა გურჯაანის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ რ. ნასარიძემ.

პირველ სიტყვას ამბობს საბჭოთა მეურნეობის დირექტორი მ. იაშვილი. იგი წინადადებას აყენებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად გურჯაანის № 683 საარჩევნო ოლქში დასახელონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მიხეილ **პორფილეს-ძე გიორგაძე.** შემდეგ ორატორი შეეხო იმას, თუ რა ნაყოფიერ მუშაობას იწევდა ამხ. მ. პ. გიორგაძე თავის მაღალ პოსტზე, თუ რა ბევრ რამეს აკეთებს იგი ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისათვის.

წამოყენებულ წინადადებას მხარი დაუჭირეს საბჭოთა მეურნეობის მუშებმა ნ. მენთეშაშვილმა, ი. ჩეკურიშვილმა, ქ. მენთეშაშვილმა, ბიბლოთეკარმა თ. სირბილაშვილმა. მათ ერთსულოვნად გამოთქვეს აზრი, რომ ამხ. მ. პ. გიორგაძე, როგორც ყოველთვის, პირნათლად გაამართლებს დიდ ნდობას.

კრებაზე მიღებულ დადგენილებაში ნათქვამია: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად გურჯაანის № 683 საარჩევნო ოლქში დასახელონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე და სთხოვონ მას კენჭი იყაროს ამ ოლქში.

ასე გაღარაჯებენ საქართველოს მშრომელებს

ხალხმრავალი საარჩევნო კრება გაიმართა 27 აპრილს ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურში. გახსნა ა. კრება, სანავსადგურო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ტ. ბარათაშვილმა სიტყვა მისცა ბათუმის ნავსადგურის მთავარ ინჟინერს ბ. პოლონსკის.

— დღეს შევეკრიბეთ, — თქვა ბ. პოლონსკიმ, რომ დავასახელოთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები, ეს დიდი პატივია ჩვენი ნავსადგურის კოლექტივისათვის. წინადადება შემომაქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ბათუმის — ლენინის № 492 საარჩევნო ოლქში დავასახელოთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **ალექსანდრე პეტრეს-ძე ვოლკოვი.**

კრებაზე გამოვიდნენ ნავსადგურის ფლოტის უფროსი ს. კოტლაროვი, ნავსადგურის მუშათა ბრიგადირი რ. კობახიძე, ნავსადგურის დატვირთვა-განტვირთვის რაიონის უფროსი ჯ. ჩიგვარია და სხვები, რომლებმაც ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი დასახელებულ კანდიდატურას.

კრებამ დაადგინა ამხანაგი **ალექსანდრე პეტრეს-ძე ვოლკოვი** დასახელონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ბათუმის № 492 საარჩევნო ოლქში და სთხოვონ მას კენჭი იყაროს ამ ოლქში.

გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნის კოლმეურნეობა „ლიხნის“ შრომელთა საარჩევნო კრებაზე კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანმა შ. ა. ჯოუამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელა სსკპ ცენტრალური კომიტეტის აკადემიკოსი ბ. ბ. ბოლოტნიკოვი.

— ეს ბ. ბოლოტნიკოვი, — ამბობ ბ. ბოლოტნიკოვ, — ... ...

ხალხის ნდობა — ყველაზე ღირსეულთ!

(დასასრული)

უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დასახელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ალექსი ნიკოლოზის-ძე კოსიგინი** და ყირგიზის უზენაესი მოსავლის ოსტატი **მერი გორრგის ასული შეედლიშვილი** — კოლმეურნეობა „მოწინავის" კოლმეურნე.

მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების კოლმეურნეთა საარჩევნო კრებაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად მახარაძის № 179 საარჩევნო ოლქში დასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვასილ პავლეს-ძე მჟავანაძე** და მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიე, კომკავშირულ-ახალგაზრდული რგოლის ხელმძღვანელი **სვეტლანა ლავრენტის ასული ნიკოლაიშვილი.**

დიდი ღომელობით ჩაიარა ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ძალური კვანძის სამმართველოს კოლექტივის საარჩევნო კრებამ, რომლის დღის წესრიგში იდგა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 176 საარჩევნო ოლქში დასახელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ალექსი ნიკოლოზის-ძე კოსიგინი** და სამმართველოს მოწინავე გვირაბგამყვანი **შუქრი მიხეილის-ძე აბაკელია.**

ეს კანდიდატურები დასასახელეს აგრეთვე ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივის საარჩევნო კრებაზე.

თბილისის მეტროპოლიტენი. რესპუბლიკის დედაქალაქის შრომელებს სამართლიანად მიანდეთ იგი თავიანთი ქალაქის მშენებლად.

მეტრომშენებელთა მრავალათასიანმა კოლექტივმა 28 აპრილს გამართულ წინასაარჩევნო კრებაზე ერთსულოვნად დასახელა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები.

ესენი არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ბორის ნიკოლოზის-ძე პონომარიოვი** და სოციალისტური შრომის გმირი „თბილგვირაბმშენის" სამმართველოს გვირაბგამყვანთა ბრიგადირი **გრუზო ივანეს-ძე ობოლაძე** რომლებიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დასახელეს თბილისის პირველი მაისის № 166 საარჩევნო ოლქში.

ბუშინ ენგურის ელეფანტაქალაქის კომბინატში გაიმართა ხალხმრავალი წინასაარჩევნო კრება, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელებას.

კრება გახსნა საწარმოს პარტკომის მდივანმა ნ. ჩიჩიბაია.

სიტყვა აქვეს ქალაქის ფაბრიკის მექანიკოს ა. ზემლიანოვს. ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, თქვა მან, ჩვენი საწარმოს კოლექტივი შრომის დიდი აღმავლობით, ჩვენ გცდილობთ არჩევნების დღეს შევეგებოთ ახალი საწარმოო წარმატებებით. ვახორციელებთ რა საბჭოთა კონსტიტუციით მინიჭებულ დიდ უფლებას, წინადადება შემომაქვს ჩვენი კოლექტივის სახელით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ზუგდიდის № 685 საარჩევნო ოლქში დასახელოთ სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე **პავლე ვასილის-ძე კოვანოვი.** ორატორმა დამსწრეთ გააცნო ამხ. პ. ვ. კოვანოვის ბიოგრაფია, თქვა რა პოსტზეც უნდა იყოს, ამხ. პ. ვ. კოვანოვი ყოველთვის პირნათლად ასრულებს მინდობილ საქმეს.

ამ წინადადებას ერთსულოვნად დაუჭერს მხარი ქალაქის ფაბრიკის მქსელავმა დ. ქირიამ, ქალაქის ფაბრიკის ტექნოლოგმა ნ. რადჩენკომ, ფართო მოხმარების საამქროს მუშამ ი. შედანამ. კრებაზე ერთხმად გადაწყვეტს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ზუგდიდის № 685 საარჩევნო ოლქში დასახელონ სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე პ. ვ. **კოვანოვი.**

ამხ. პ. ვ. კოვანოვი დეპუტატობის კანდიდატად ამავე ოლქში დასახელა ხოთის მეცხტრუსეობა-მეადგნეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივის საერთო კრებამ.

28 აპრილს ჭიათურის მანგანუმის ტრესტის ლენინის სახელობის მაღაროთასამმართველოში გაიმართა საერთო კრება, რომელმაც განიხილა საკითხი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელების შესახებ. მაღაროელებმა გადაწყვიტეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავიანთ დეპუტატობის კანდიდატად ჭიათურის № 192 საარჩევნო ოლქში დასახელონ ამ მაღაროთასამმართველოს მეათე უბნის მესანგრეგე-მშენდავი **ვასილ კონსტანტინეს-ძე პაპიძე.**

დადგენილება ამის შესახებ, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად გორის № 173 საარჩევნო ოლქში დასახელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვასილ პავლეს-ძე მჟავანაძე** და ვარიანის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მეხილე **ნანული ვასილის ასული მამესწარაშვილი,** ერთხმად მიიღეს ვარიანისა და ბრეთის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების მუშათა და სპეციალისტთა წინასაარჩევნო კრებებზე.

გოლნიისს რაიონის სოფელ კოჩოლოს კოლმეურნეობის წევრთა წინასაარჩევნო კრებაზე მეურნეობის პირველადი პარტ ო ლ ი ორგანიზაციის მდივანმა ჯ. ი. ჯაფაროვმა წინადადება წამოაყენა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ბოლნისის № 171 საარჩევნო ოლქში დასახელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე **ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე შელეპინი.**

კოლმეურნეობის ბრიგადირმა ა. კ. აბასოვმა მხარი დაუჭირა ამხ. ა. ნ. შელეპინის კანდიდატურის დასახელებას და თავის მხრივ წინადადება წამოაყენა იმავე ოლქში დასასახელონ მოწინავე მეწველავი, სოციალისტური შრომის გმირი **ზაპრა აბმედ-ყზი ჩირაკოვა.**

ეს წინადადებანი კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს.

ბუშინ ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის № 2 შახტში შესვენებაზე ცვლებს შორის გაიმართა წინასაარჩევნო კრება. კრება გახსნა შახტკომის თავმჯდომარემ ს. აღლეფბამ. სიტყვა ეძლევა შახტის პარტბიუროს მდივანს ს. თარბას. მან წამოაყენა წინადადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად სოხუმის № 690 საარჩევნო ოლქში დასახელონ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ვალერიან ოსმანის-ძე კობახია.** ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს მეზგიერ ლ. ტყვებუჩავამ, გვირაბგამყვანმა ს. პოზნიაკოვმა, ნ ა უბნის უფროსმა დ. ასლანიკაშვილმა.

კრებამ ერთხმად გამოიტანა დადგენილება: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად სოხუმის № 690 საარჩევნო ოლქში დასახელონ ვალერიან ოსმანის-ძე კობახია.

ვ. ო. კობახიას კანდიდატურას ერთსულოვნად დაუჭერეს მხარი თავიანთ საერთო კრებებზე სოხუმის ა. მ. გორკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგთა და სტუდენტთა და ბიჭვინთის პანსიონატების გაერთიანების დირექციის კოლექტივებმა.

გალეანის ნავთობგადასამუშავებელ ქარხანაში გაიმართა წინასაარჩევნო კრება, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელებას. კრება გახსნა საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ გ. დ. დარჩიამ.

ტრიბუნაზეა ქარხნის დირექტორი ს. ს. დოლიდე.

— ბათუმელ მეგავთობეთა სახელით, — თქვა მან, — წინადადება შემომაქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ბათუმის ზღვისპირეთის № 495 საარჩევნო ოლქში დასახელონ საქართველოს კომპარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ალექსანდრე დურსუნის-ძე თხელაიშვილი** და ვთხოვოთ მას კენჭი ეყაროს ამ ოლქში.

შემდეგ გამოვიდნენ უფროსი ოპერატორები ნ. ი. საყვარელიძე და კ. ვ. მოდებაძე, № 10 საამქროს უფროსი ა. ი. ბუსელი და № 9 საამქროს ინჟინერი ვ. ფ. ლალიძე, რომლებმაც მხურვალედ დაუჭირეს მხარი ა. დ. თხელაიშვილის კანდიდატურას.

ბათუმელ მეგავთობეთა საერთო კრებამ ერთხმად დაადგინა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ბათუმის ზღვისპირეთის № 495 საარჩევნო ოლქში დასახელოს ალეფანეს პარტიის აპარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ა. დ. თხელაიშვილი.**

ა. დ. თხელაიშვილი ამავე საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად დასახელეა აგრეთვე ბათუმის სავაგონო დეპოს მუშაკთა წინასაარჩევნო კრებამ.

საღლესასწაულოდან მორთული ყავის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის ადმინისტრაციის შენობა. აქ გაიმართა საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებას.

აჩრჩევნებისათვის მზადების დიდმნიშვნელოვანი საკითხები განიხილა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ თაყის სხდომაზე, რომელიც მოსკოვში გაიმართა 27 აპრილს ვ. ვ. ერმილოვის თავმჯდომარეობით.

კომისიამ მოისმინა ყირგიზეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის დ. აბდრაევის, თათრეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ს. გ. ბატიევისა და კრასნოდარის მშრომელთა დეპუტატების სამხარეო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ს. ო. მეფდნოვის მოხსენებანი, თუ როგორ მიმდინარეობს არჩევნებისათვის მზადება. წინასწარ ეს საკითხი საფუძვლიანად შეისწავლეს კომისიის წევრებმა, რომლებიც ჩავიდნენ ადგილებზე — რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში. ამის შესახებ სხდომას დაწვრილებით მოახსენეს ამხანაგებმა ვ. ვ. ერმილოვმა, ვ. დ. ბოროზენკოვმა, ვ. ი. ვაინომ, კ. ხ. იბატულინმა, ბ. სალიევამ.

ყველა ორატორმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი, რომ არჩევნებისათვის მზადება მიმდინარეობს საბჭოთა ხალხის მაღალი პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ვითარებაში, რაც გამოიწვია ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავმა. საბჭოთა ადამიანები დიდი ინტერესით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებულ საზეიმო სხდომაზე.

ფიზიკა პატრიოტული აღმავლობის ვითარებაში სულ უფრო აქტიურდება სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობა, რომლებმაც პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით დაიწყეს საარჩევნო კამპანიის ახალი დიდმნიშვნელოვანი ეტაპი.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ აღნიშნა, რომ საარჩევნო კამპანია მიმდინარეობს ორგანიზებულად, სსრ კავშირის კონსტიტუციისა და „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების" მოთხოვნათა მკაცრი დაცვით. ამ კამპანიაში სულ უფრო აქტიურად მონაწილეობს მილიონობით საბჭოთა ადამიანი. დაიწყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება. მშრომელთა კოლექტივები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები თავიანთ კანდიდატებად ასახელებენ ხალხის საუკეთესო წარმომადგენლებს.

არჩევნებისათვის მზადების დიდმნიშვნელოვანი საკითხები განიხილა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ თაყის სხდომაზე, რომელიც მოსკოვში გაიმართა 27 აპრილს ვ. ვ. ერმილოვის თავმჯდომარეობით.

კომისიამ მოისმინა ყირგიზეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის დ. აბდრაევის, თათრეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ს. გ. ბატიევისა და კრასნოდარის მშრომელთა დეპუტატების სამხარეო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ს. ო. მეფდნოვის მოხსენებანი, თუ როგორ მიმდინარეობს არჩევნებისათვის მზადება. წინასწარ ეს საკითხი საფუძვლიანად შეისწავლეს კომისიის წევრებმა, რომლებიც ჩავიდნენ ადგილებზე — რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში. ამის შესახებ სხდომას დაწვრილებით მოახსენეს ამხანაგებმა ვ. ვ. ერმილოვმა, ვ. დ. ბოროზენკოვმა, ვ. ი. ვაინომ, კ. ხ. იბატულინმა, ბ. სალიევამ.

ყველა ორატორმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი, რომ არჩევნებისათვის მზადება მიმდინარეობს საბჭოთა ხალხის მაღალი პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ვითარებაში, რაც გამოიწვია ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავმა. საბჭოთა ადამიანები დიდი ინტერესით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებულ საზეიმო სხდომაზე.

ფიზიკა პატრიოტული აღმავლობის ვითარებაში სულ უფრო აქტიურდება სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობა, რომლებმაც პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით დაიწყეს საარჩევნო კამპანიის ახალი დიდმნიშვნელოვანი ეტაპი.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ აღნიშნა, რომ საარჩევნო კამპანია მიმდინარეობს ორგანიზებულად, სსრ კავშირის კონსტიტუციისა და „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების" მოთხოვნათა მკაცრი დაცვით. დადგენილ ვადებში შეიქმნა საოლქო საარჩევნო კომისიები. მოავრდება საარჩევნო უბნების შექმნა და საუბნო საარჩევნო კომისიათა დამტკიცება. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღსასრულებელი კომიტეტები ადგენენ ამომრჩეველთა სიებს.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომაზე განიხილეს აგრეთვე საარჩევნო კომისიების შექმნის შედეგები. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა მ. პ. გიორგაძემ, რომელმაც ამ საკითხზე გააკეთა მოხსენება, თქვა, რომ შეიქმნა ერთეულთა საბჭოს არჩევნების მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქებისა და ეროვნული ოკრუგების 53 კომისია, 1.517 საოლქო საარჩევნო კომისია, აქედან კავშირის საბჭოს არჩევნების 767 და ეროვნებათა საბჭოს არჩევნების 750 კომისია. ამ კომისიათა შემადგენლობაში შევიდა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა კოლექტივების 18 ათასამდე წარმომადგენელი. აქედან ნახევარზე მეტი მუშები და კოლმეურნეები არიან, რომლებიც უშუალოდ წარმოებაში მუშაობენ, დაახლოებით 700 მთავარი მეთაურობს საოლქო საარჩევნო კომისიებს. კომისიათა შემადგენლობაში 49 პროცენტი ქალები, 48 პროცენტი უპარტიოები, მეოთხედზე მეტი 30 წელზე ნაკლები ასაკის მოქალაქეა. ყოველივე ეს კვლავ დასტურებს საბჭოთა საარჩევნო სისტემის ღრმა დემოკრატიზმს.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მუშაობაში დიდმნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო კენჭისყრაში იმ ამომრჩეველთა მონაწილეობის უზრუნველყოფის ღონისძიებებს, რომლებიც არჩევნების დღეს გზაში — რკინიგზისა და საჰაერო ტრანსპორტში, საზღვაო, თვენახევრიანი და სამდინარო ფლოტის გემებზე, ტურისტულ მოგზაურობასა და ლაშქრობაში, აგრეთვე სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში, სპორტულ ბანაკებში, შრომელთა მასობრივი დასვენების ადგილებში, ხამეცნიერო ექსპედიციებში, გეოლოგიურ და საძიებო პარტიებში, პრქტიკისა და ანტარქტიდის პოლარულ სადგურებში იქნებიან.

ამ საკითხებზე დაწვრილებით გაიკეთეს მოხსენებანი სსრ კავშირის გზათა მინისტრმა ბ. პ. ბეშჩევმა, სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის მინისტრმა ე. ი. ლოგინოვმა, სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის მინისტრმა ს. ნ. ანანიევმა, სსრ კავშირის ელეფანტაქალაქო-ტექნიკური მინისტრმა ნ. ბ. ბუბნოვმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილემ ვ. ი. კორზუნმა, რუსეთის სფსრ სამდინარო ფლოტის მინისტრმა ს. ა. კუჩკინმა, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანმა ვ. თ. ბოგატიკოვმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მთავარი სწავლული მდივნის მოადგილემ გ. დ. ფანასიევმა.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ თითოეულმა სამინისტრომ და უწყებამ უნდა გაანსორციელოს ღონისძიებათა სრული კომპლექსი, რათა უზრუნველყოს ყველა ამომრჩეველის მონაწილეობა კენჭისყრაში, სადაც უნდა იყვნენ ისინი არჩევნების დღეს, მკაცრი კონტროლი გაუწიოს ამ ღონისძიებათა განხორციელებას. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა იმას, რომ კენჭისყრაში მონაწილეობდნენ ის ამომრჩეველები, რომლებიც ხუთი სამუშაო და ორ დასვენებისდღიანი სამუშაო კვირის პირობებში დასვენების დღეებში გადიან ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების ფარგლებს გარეთ.

კომისიის სხდომაზე განხილულ საკითხთა გამო მსჯელობაში მონაწილეობდნენ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ი. პროხოროვი, კომისიის მდივანი ი. ვ. ანიკეევი, ეროვნებათა საბჭოს ბიუროს თავმჯდომარე ბ. ბ. ელისეევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე ვ. ი. კორზუნმა, ეროვნებათა საბჭოს მდივანი ბ. ბ. ელისეევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე ვ. ი. კორზუნი, ეროვნებათა საბჭოს მდივანი ბ. ბ. ელისეევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ეროვნებათა საბჭოს ბიურო, ეროვნებათა საბჭოს ბიუროს თავმჯდომარე ბ. ბ. ელისეევი, ეროვნებათა საბჭოს ბიუროს მდივანი

... აღრიცხვა და კონტროლი ყველგან, საყოველთაო, უნივერსალური, — აღრიცხვა და კონტროლი შრომის რაოდენობისა და პროდუქტების განაწილების საქმეში — ეს არის სოციალისტური გარდაქმნის არსი, რაკი პროლეტარიატის პოლიტიკური გატონება შექმნილი და უზრუნველყოფილია.

ვ. ი. ლენინი

...ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნისტი

ქუთაისი

სახალხო კონტროლის გაზეთი

№ 49

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში

ამოსავლიდან — სანიმუშო ამოსახურებამდე

სამტრედიის რაიკოოპკავშირის საქმიანობის შემოწმების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა შეამოწმა სამტრედიის რაიკოოპკავშირში მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების მდგომარეობა და სამეურნეო-საფინანსო საქმიანობა. აღნიშნა, რომ რაიკოოპკავშირს (გამგეობის თავმჯდომარე ბ. სტურუა, მოადგილე — სავაჭრო განყოფილების უფროსი პ. გრიგოლია, მთავარი ბუღალტერი ა. გრიგოლია) ამ მხრივ გარკვეული მუშაობა აქვს გაწეული, მაგრამ მის სისტემაში ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის მოწესრიგებული ვაჭრობის ორგანიზაციის საკითხები, სრულად ვერ ითვისებენ საქონლის ფონდებს. ქსელი განლაგებულია არასწორად, მრავალი ობიექტი მოთავსებულია შეუფერებელ და მოუწყობელ ბინებში, რაც უარყოფითად მოქმედებს მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესებაზე და საქონელბრუნვის გეგმების შესრულებაზე.

რაიკოოპკავშირმა 1969 წელს საქონელბრუნვის გეგმა 98,6 პროცენტით შეასრულა. მაგრამ 1968 წელთან შედარებით საქონელბრუნვა მხოლოდ 5,9 პროცენტით გაიზარდა, მაშინ როცა ზრდის ტემპმა ეკავშირის სისტემაში საშუალოდ 9,9 პროცენტი შეადგინა. რაიონის ზოგიერთ სოფელში არავითარი სავაჭრო ობიექტი და საზოგადოებრივი კვების სწარმო არ არის, მაშინ როცა საზოგადოებრივი კვების წამოწყებები სამტრედიის კოოპუნივერმაღის და ეკავშირის ბაზის ტერიტორიაზე უნებართვოდ არის გახსნილი, ხოლო სოფლის მოსახლეობისათვის განკუთვნილი ფონდებით მიღებული ხორცის რეალიზაცია ხდება საყოლმეურნეო ბაზარში.

83 ობიექტიდან, რომლებშიც მალეფუძეებადი პროდუქტები იყიდება, 33-მი არ არის სამაცივრო მოწყობილობა-დანადგარები.

რაიკოოპკავშირს 1969 წლის ფონდებიდან არ აუთვისებია ბურღული, საკონდიტრო ნაწარმი, თევზი, ფეხსაცმელი, ფაიფურ-მინის ჭურჭელი და სხვ.

ვაჭრობის არასწორი ორგანიზაციის შედეგად სამრეწველო საქონლის 42 პროცენტზე მეტი რეალიზებულია ქალაქში მდებარე კოოპუნივერმაღის მიერ. ეს იმ დროს, როდესაც ქალაქის მოსახლეობას ძირითადად სახელმწიფო ვაჭრობის ქსელი ემსახურება. ამის გამო სოფლის მოსახლეობას სამრეწველო საქონლის შესაძენად ფაქტიურად ქალაქ სამტრედიაში უხდება ჩასვლა.

რაიკოოპკავშირის ხელმძღვანელობა ჯერ კიდევ ვერ ახორციელებს ეფექტურ ღონისძიებებს ქსელში წვრილი დანაკლისების ფაქტების აღსაკვეთად. 1969 წელს სისტემაში გამოვლინებული იყო წვრილი დანაკლისების და დანაწერების 624 შემთხვევა 21,5 ათასი მანეთის რაოდენობით. აქედან ჯერ კიდევ დაუფარავია 4,8 ათასი მანეთი. ამ შემოწმების დროს ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად 3,1 ათასი მანეთის დანაკლისი გამოვლინდა. გარდა ამისა, 20,3 ათასი მანეთის არასრულფასოვანი და უხარისხო საქონელი აღმოჩნდა.

შემოწმებით გამოირკვა, რომ არაყი და არყის ნაწარმი იყიდება საზოგადოებრივი კვების მეორე კატეგორიის ყველა ობიექტში არა 50 პროცენტის, არამედ 25 პროცენტის ფასსამატით, რის გამო მარტო დაფნარისა და კულაშის მომხმარებელთა საზოგადოებების საზოგადოებრივი კვების ქსელში ამ სასმელების იაფად გაყიდვით მიღებული ზარალი 1969 წელს 2,0 ათას მანეთს შეადგენს.

1965 წელს ბაშის სოფლის კოოპერატივის ლიკვიდაციის შემდეგ, ამ ზონის სავაჭრო ქსელში (რომელიც სამტრედიის კოოპერატივს შეუერთდა) უკანონოდ იქნა დატოვებული საქონელზე საგრანსპორტო-საჭაპანო დანამატი, რის გამო ქსელში მარტო შარშან გაყიდულ საქონელზე მოსახლეობისათვის ზედმეტად გადახდვინებული თანხა 6,0 ათას მანეთს აღემატება.

წინდები, საპარსი მანქანები, ფაიფურის ნაწარმი, პოლიეთილენის პარკები, ავტომანქანის ზეთის ფილტრი და ზოგიერთი სხვა საქონელი, რომლებიც გასულ წლებში გაიაფდა, რაიკოოპკავშირის სისტემის ქსელში არ ჩამოფასებულა და ძველი ფასებით იყიდება.

სამტრედიის რაიკოოპკავშირის სისტემის სავაჭრო ქსელის 99 ობიექტში ჩატარებული შემოწმებით მომხმარებელთა მტყუვების, სტონლის გადამანაღვარის, უფაქტურო საქონლით ვაჭრობისა და სხვა ანგარებითი ხასიათის უხეში დარღვევის ფაქტები გამოვლინდა 21 ობიექტში, მათ შორის სამტრედიის მომხმარებელთა საზოგადოების (თავმჯდომარე ვ. გარნოვსკაია), კულაშის მომხმარებელთა საზოგადოების (ო. ჩხიკვიშვილი), ჯიხაიშის მომხმარებელთა საზოგადოების (ზ. მინაშვილი) ქსელში და სხვ.

სამტრედიის კოოპუნივერმაღის (დირექტორი ნ. ბოკეკიაძე) ტრიკოტაჟის სექციის უფროსი გამყიდველი ა. შენგელია ჭალის წინდას 2 მანეთისა და 70 კაპიკის ნაცვლად 3 მანეთად და 20 კაპიკად ყიდდა, კულტსაქონლის სექციის უფროს გამყიდველს ლ. შენგელიას საკონტროლო ალაროს მაჩვენებლებთან შედარებით ნავაჭრი თანხა 1,6 ათასი მანეთით მეტი აღმოაჩნდა, ხოლო საოჯახო მოხმარების საქონლის სექციის უფროს გამყიდველს ი. მოიდვრიშვილს გასაყიდად არა ჰქონდა გამოტანილი 4 დასახელების გასაცვლიანი საქონელი.

საზოგადოებრივი კვების ობიექტებში რეციპტურისა და კალკულაციების არასწორად შედგენის შედეგად ხელოვნურად გადიდებულია კერძების გასაყიდი ფასები. სამტრედიის მომხმარებელთა საზოგადოების (ო. ჩხიკვიშვილი), ჯიხაიშის მომხმარებელთა საზოგადოების (ზ. მინაშვილი) ქსელში და სხვ.

სამტრედიის კოოპუნივერმაღის (დირექტორი ნ. ბოკეკიაძე) ტრიკოტაჟის სექციის უფროსი გამყიდველი ა. შენგელია ჭალის წინდას 2 მანეთისა და 70 კაპიკის ნაცვლად 3 მანეთად და 20 კაპიკად ყიდდა, კულტსაქონლის სექციის უფროს გამყიდველს ლ. შენგელიას საკონტროლო ალაროს მაჩვენებლებთან შედარებით ნავაჭრი თანხა 1,6 ათასი მანეთით მეტი აღმოაჩნდა, ხოლო საოჯახო მოხმარების საქონლის სექციის უფროს გამყიდველს ი. მოიდვრიშვილს გასაყიდად არა ჰქონდა გამოტანილი 4 დასახელების გასაცვლიანი საქონელი.

საზოგადოებრივი კვების ობიექტებში რეციპტურისა და კალკულაციების არასწორად შედგენის შედეგად ხელოვნურად გადიდებულია კ

აკაკი ხორავას დაბადების 75 წლისთავის გამო

მაღალი იდეალების ფიმოქმედი

საქმეზნოდ აღიარებული მსახიობი, ქართული საბჭოთა თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ქართველი ხალხის ხალმაყო შემოქმედი აკაკი ხორავა დღეს 75 წლისაა. მისი დიდი ნიჭიერების ურიცხვი პატივისმცემელი და მთელი საბჭოთა ხალხი კარგად იცნობენ შემოქმედების იმ დიდებულ გზას, რომელიც ამ შესანიშნავმა მოღვაწემ განვლო.

მაყურებელი იმთავითვე აღიტაცა მსახიობის რევოლუციურ-რომანტიკულმა ბუნებამ, მგზნებარებამ, სიმართლემ და იშვიათმა სცენურმა მომხიბვლელობამ.

აკაკი ხორავას როგორც შემოქმედის სპეციფიკური თავისებურებაა ბმირის სახის შექმნის რეალისტურ საფუძვლებთან ერთად რომანტიზმის გამოყენება; გარდა ამისა, ის ეროვნული თავისებურებაც, რომელიც შეღავნდება ქართულ კოლორიტში, — ქართული რიტმი, ტემპერამენტი, გამოკვეთილი მოძრაობა, — მსახიობის მიერ არასოდეს არ ყოფილა გამოყენებული თვითმიზნურად.

აკაკი ხორავას შემოქმედებაში დიდი მნიშვნელობის ფაქტორია ხმა და დიქცია. მეტყველება და ხმა ამ მსახიობის შემოქმედების გამარჯვების მძლავრი საშუალებათაგანია. მისი მეტყველება მდიდარია ყოველთვის გამართული ნამდვილად ქართული ინტონაციებით, მისი ფრაზა ყოველთვის ჩამოყალიბებულია. არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღინიშნოს მისი ხმის მომხიბვლელობა. სწორედ ხმის ეს მდიდარი ტემბრი წარმოადგენს ხორავას, როგორც შემოქმედის ერთ-ერთ ძლიერ საშუალებას და იგი ხორავას ხმის თანდაყოლილი, იშვიათი თვისებაა.

საინტერესო ის არის, რომ მსახიობი გარდასახვის დრის, როდესაც მთელი სისრულით, გადმოსცემდა იმ სულიერ განწყობილებას, რაც გმირს ახასიათებს, ძალდაუტანებლად, სრულიად ბუნებრივად ცვლიდა ხმას განწყობილების შესატყვისად. ამის დამამტკიცებელია მისი შემოქმედების ყველა ნიმუში. განსაკუთრებით კი ამ მხრივ სამაგალითოთა ოტელო და ივანე ბრისხანე, სადაც არაჩვეულებრივი ტემბრის ხმას მსახიობი საუკეთესოდ იყენებდა შესაფერისი ფსიქოლოგიური განწყობილების გამოსახატავად.

აკაკი ხორავამ, — ქართული საბჭოთა თეატრის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა მსახიობმა, თავისი შემოქმედების გმირულ-რომანტიკული სტილი გაამდიდრა ფსიქოლოგიზმით. მის მიერ შექმნილი ბერსენევი, ანზორი, კრეჩეტი, არსენა, ოიდიპოსი, ოტელო, ნიმუშია იმისა, თუ რა დიდი განზოგადოებების სახეებს ეს მსახიობი. გავიხსენებთ „ვეფხისტყაოსნის“ გმირები, საოცრად ამაღლებულნი კეთილშობილებით, სიყვარულით, რაინდობით. მათთვის, ამ რომანტიკული გმირებისათვის უცხო არ არის ცრემლნარევი ფსიქოლოგიური მომენტი. და სწორედ ასევე ამდიდრებდა ხორავა თავის გმირებს, არ გაურბოდა ლირიკასა და ფსიქოლოგიზმს, რაც ამაღლებს მის რომანტიკულ გმირებს.

ქართული საბჭოთა თეატრის შექმნის პირველსავე წლებში დაიმკვიდრა აკაკი ხორავამ გმირულ-რომანტიკული სტილის მსახიობის სახელი, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ იყო საჭირო იმისათვის, რომ ამ მხატვრულ თავისებურებებს თავისი ზემოქმედება მოეხდინა, რაც მან შემდეგ კიდევაც დიდებულად შეძლო.

აკაკი ხორავამ ქართული საბჭოთა თეატრის შექმნისა და ჩამოყალიბების პირველ წლებში საბჭოთა მსახიობისადმი წაყენებული ძირითადი ამოცანის დასაძლევად საკმაებით ბუნებრივი და ჯანსაღი ტენდენცია გამოამეღავნა. თავის შემოქმედებაში მან დაიწყო საბჭოთა სინამდვილის, რეალური თანამედროვეობის პრობლემატიკის ასახვა. იგი სწორად წყვეტდა იმ ამოცანებს, რომლებსაც ჩვენი ახალგაზრდა ქვიყანა უყენებდა საბჭოთა მსახიობს.

ამ მსახიობით ყოველთვის სისხლხორცეულად იყო და არის დაინტერესებული ჭრიცვნი მაყურებელი. ამის მიზეზი ხორავას ის დიდი უნარია, რომელსაც თანამედროვეობის ძლიერად და ცოცხლად შეგრძნობა ეწოდება. სწორედ ეს ცოცხალი შეგრძნობა თანამედროვეობისა მოეხმარა მას ჩაქსოვა დღევანდელობის სულისკვეთება უკვე წარსულად ქცეულ ცხოვრებაში, ამიტომ არასდროს არ შექმნილა აზრი, რომ აკაკი ხორავას შემოქმედებას წარსულში გადაეკვანართო. პირიქით, გინდა მის მიერ წარმოსახულ გმირებს გაუწოდო ხელი და მათთან ერთად იფიქრო შენს ადგილზე ცხოვრებაში, იფიქრო ადამიანის უკვდავებაზე, მის ყოველისშემძლეობაზე. ეი სწორედ ამაშია აკაკი ხორავას შემოქმედების თანამედროვე ეროვნულობა, სწორედ ამაშია მისი საერთაშორისო წარმატების საიდუმლოება.

ხორავამ ქართულ საბჭოთა თეატრს შესძინა სახალხო გმირთა მთელი გალერია. მტკიცე ნებისყოფა, დაუშრეტელი ძალა, ეი რით ხასიათდებოდნენ მისი გმირები. ამავე დროს მათ ჩვეულებრივი ადამიანური განცდები ჰქონდათ: შინაგანი ტანჯვა და სიხარული, მწუხარება და აღტაცება.

ასევთი იყო მისი კარლ მოორი, რომელიც მსახიობის ოსტატობის ისტორიაში შევიდა როგორც ერთი ბრწყინვალე ფურცელი. მსახიობს სურდა ამ ტიპაჟით მსახიობის ოსტატობის ისტორიაში შევიდა როგორც ერთი ბრწყინვალე ფურცელი. მსახიობს სურდა შექმნა გმირი ახალი ინტერპრეტაციით და ამავე დროს უნდოდა ეზრუნა რუსთაველის თეატრის ესთეტიკის განმტკიცებისათვის. ეს ამოცანა ხორავამ შესანიშნავად გადაჭრა, რაც გამოიხატა არა მარტო კარლ მოორის სახის წარმოქმნის უმაღლეს აქტიორულ შესაძლებლობებში, არამედ იმ ახალში, რომელიც მოცემული იყო შილერის მთავარი გმირის, კარლ მოორის თანამედროვე ეროვნულობით. კარლი, სტუდენტების მეთაური და ბელადი, დიდი იდეური ღელვარდობისა იყო, რაც სპექტაკლს ახალ შინაარსს ანიჭებდა. არა ფრანც მოორი იყო მთავარი გმირი (როგორც წინათ), არამედ კარლოსი.

აკაკი ხორავას ყოველთვის ამოძრავებდა ძლიერი ძალის დამამკვიდრებელი პათოსი. ეს არის მისი გამოკვეთილი თავისებურება, რომელიც გამომეღავნდა ბერსენევის, ანზორის, კარლის, პლატონ კრეჩეტის სახეებში.

სახალხო გმირის სახის შექმნაში აკაკი ხორავას ბადალი არ ჰყოლია ქართულ სცენაზე. მისი არსენა — ქართველი ხალხის თავისუფლებისათვის ულრეკი მებრძოლი, ისტორიულ-რევოლუციური გმირი მაყურებელმა დიდი სიყვარულით მიიღო. მსახიობმა სახის გახსნისას თავისი რომანტიკული პათოსით აღტაცებაში მოიყვანა ყველა.

ამ დიდი ხელოვნების შემოქმედებაში ყველაზე მეტად გამოკვეთილი ღა გამორჩეული ოტელოა, იგი მსახიობის ხელოვნების უმაღლესი საფეხურია. ეს დაადასტურა სახის მხატვრულმა გაზრდამ და მისმა თავისებურმა გადაწყვეტამ. სხვადასხვა დროს გაზეთები აღნიშნავდნენ, რომ ოტელოს როლში მან მიაღწია ისეთ მაღალ მწვერვალს, რომელზედაც მსოფლიოს თეატრის ისტორიაში მხოლოდ ცოტანი თუ ასულან („პრავდა“), რომ ხორავას მიერ წარმოსახული ოტელო სცენური ხელოვნების ვენიალურ ტრიუმფს წარმოადგენს და სხვ. მართლაც, წინაადმდეგ მრავალი გამოჩენილი ტრაგიკოსისა, რომლებიც ხაზს უსვამდნენ ოტელოში არა ცივილიზირებულობას, ხორავამ თავის გმირს მიანიჭა ადამიანურობა, სინაზე, უშუალობა, შინაგანი კეთილშობილება. მან ვვიჩვენა სიყვარულის უსაზღვროება. ხორავამ მთელი სისრულითი მოგვცა სხვა ინტერპრეტაციაში გაცალმხრივებული და დავიწროებული დიდი თემა. მისი თამაში ღრმად ემოციური იყო, რითაც მწვავედ განაცდევინებდა მაყურებელს ტრაგედიის გმირის ბედს.

აკაკი ხორავას ოტელო გასცილდა ქართული თეატრის ფარგლებს და საბჭოთა ხელოვნების სასახელოდ მსოფლიოში სახელგანთქმულ ტრაგიკოსთა სცენური ქმნილებების ვერდით დადგა. მსოფლიო შექსპიროლოგიამ ხორავას ოტელო მიიღო როგორც ნამდვილი შექსპირული სახე.

მსახიობის დიდი ნიჭიერება გამოვლინდა ივანე მრისხანეს განსახიერებისას. მისი ხელმწიფის თავისებურება იმაში გამოხატა, რომ თუ სხვები ამ როლში ხედავდნენ მხოლოდ მრისხანე მეფეს, ხორავამ ივანეს მრისხანეობას სხვაგვარი იდეური გააზრება მისცა. ეს მრისხანება გამოწვეული იყო ისტორიული აუცილებლობით.

მაყურებელი დღემდე ვერ ივიწყებს სცენას კუბოსთან! — ჩვენს წინაშე იდგა ადამიანური სინანულით აღსავსე პიროვნება. ეს სინანული თან სდევდა პირადი მსხვერპლის გადების უდიდეს ტკივილს და სწორედ ეს ადამიანური და სახელმწიფო მოღვაწეს მოქმედების ერთიანობა, ეს პირადი ტკივილი და საზოგადოებრივი ინტერესი, ეს გართულებული კოლიზიები და მასში მოხვედრილი ადამიანის ტრაგიკული ბედი ჩინებულად გამოხატა აკაკი ხორავამ და იგი საბჭოთა თეატრის ისტორიაში შევიდა როგორც ივანე მრისხანის როლის ერთი საუკეთესო შემსრულებელთაგანი.

აკაკი ხორავამ დიდი სულიერი მღელვარებით წარმოგვიდგინა გარდასული ეპოქების ტრაგიკული გმირები. ასეთია მის ოიდიპოს მეფე, რომლის განსახიერებაზე მსახიობი დიდხანს ოცნებობდა. მართალია, ქართველი ტრაგიკოსის შეხვედრა დიდ ბერძენ დრამატურგ-ტრაგიკოსთან ცოტა მოგვიანებით მოხდა, მაგრამ ამ შეხვედრამ მაინც ფრიად მნიშვნელოვანი შედეგი მოიტანა. ხორავამ ამ როლითაც ერთხელ კიდევ დამტკიცა, რომ ქართველ მსახიობს შეუძლია განიცადოს მსოფლიოს რომელი ნაწარმოებიც არ უნდა იყოს და რომ მას შესწევს უნარი გამარჯვებული დარჩეს.

ხორავას მეფე ოიდიპოსი ძლიერი და მხატვრულად სრულყოფილი სახეა. იგი წარმოდგენილი იყო ფსიქოლოგიური სიღრმით, ჭეშმარიტი გმირის მოქალაქეობრივი ხასიათით და დაუღალავი პატრიოტიზმით. ამ სახის შესაქმნელად მსახიობმა დიდად გამოიყენა ქართული ეროვნული და მსოფლიო ისტორიული გმირების განხორციელების საკუთარი, მდიდარი გამოცდილება.

ოიდიპოსის სცენური სახის შექმნისას აკაკი ხორავა აკეთარებდა ერთ ძირითად ხაზს — საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივს. მდიდარი ინტონაცია და მხატვრული სიმძაფრე უხვად იყო გამოყენებული მსახიობის მიერ ოიდიპოსის უდიდესი ტანჯვის გადმოსაცემად. ზედმეტი ემოციურობის უარსაყოფად იყენებდა უაღრეს თავდაჭერილობას, რითაც ეს მეფე-ადამიანი თავისი გმირული სულით შეაყვარა მაყურებელს.

ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დიკადაზე 1958 წელს მოსკოვში ოიდიპოსს სამი მსახიობი ასახიერებდა. ერთ დღეს „ოიდიპოს მეფის“ სამი სპექტაკლი იქნა ნაჩვენები სამივე მსახიობის მონაწილეობით.

დამთავრდა სპექტაკლი ხორავას მონაწილეობით.... დიდი ოვაციები და მხურვალე გამოძახილი: დაიცალა დარბაზი, მაგრამ ამ უკანასკნელს არ ტოვებდა ინდურად ჩაცმული მამაკაცი, რომელიც სცენაზე გასასვლელს ეძებდა, როდესაც შეეკითხეთ, თუ რამ დაინტერესა იგი, გვიპასუხა — „მანახეთ ხორავა“. გავიყვანეთ სცენაზე, გადაეხვია ხორავას და დამტვრეული რუსულით უთხრა: „ბევრი რამ წამიკითხავს თქვენი ოტელოს შესახებ, მაგრამ არასოდეს არ მქონია საშუალება მენახეთ ამ სპექტაკლში. დღეს კი დავრწმუნდი თქვენი აქტიორობის მაღალი შეფასების სინამდვილეში. თქვენ ხართ არა მარტო დიდი ქართველი ტრაგიკოსი, არამედ მთელი მსოფლიოს ტრაგიკოსი“.

ეს კაცი კალკუტის უნივერსიტეტის პროფესორი აღმოჩნდა.

ოიდიპოს მეფის ფსიქოლოგიურად რთულმა და იშვიათმა პორტრეტმა ჭეშმარიტად საპატიო ადგილი დაიკავა ხორავას შემოქმედებაში.

აკაკი ხორავა ერთი იმათგანია, ვინც ქართული საბჭოთა აქტიორული ხელოვნების მაღალი სახელი გაიტანა საბჭოთა კავშირში და მის საზღვრებს იქით, ქართველი საბჭოთა მსახიობის ავტორიტეტსა და რეპუტაციას შეუქმნა ფართო ასპარეზი, რითაც დიდად აამაღლა ქართული თეატრალური კულტურის საერთო დონე. მისი სცენური შემოქმედება, გარდა დიდი თეორიული მნიშვნელობისა, უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობისაც არის. ის ერთი ინიციატორთაგანია არა მარტო თეატრალური ინსტიტუტის დაარსებისა, სადაც დღემდე პროფესორად მუშაობს, არამედ საქართველოს თეატრალური საზოგადოებისაც, რომლის თავმჯდომარედ ხორავა ორჯერ იყო არჩეული. ამასთანავე ამ საზოგადოების პრეზიდიუმის უცვლელი წევრია იგი დღემდე.

აკაკი ხორავას დიდი შემოქმედება და საზოგადო მოღვაწეობა ყოველთვის ღრმა მადლობის გრძნობით მსჭვალავდა მშობელ ხალხს. მისი ჭეშმარიტი ნიჭიერება ყოველთვის უსაზღვროდ აღაფრთოვანებდა არა მარტო ქართველ მაყურებელს, ამიტომ დღეს, მისი დაბადების 75 წლისთავზე, მადლიერი ხალხი ხანგრძლივ სიცოცხლეს და ჯამრთელობას უსურვებს.

ნინო შვანგირაძე.



სურათებზე: აკაკი ხორავა ოტელოსა (მარცხნივ) და ანზორის როლებში.

ესპანელი სიდი ბორჯომში

კიდევ ერთი ხიდი ჩადგა მწყობრში, რომელმაც ბორჯომის ორი უბანი ერთმანეთთან დააკავშირა. ამას წინათ ხიდის გახსნაზე მოვიდნენ ბორჯომელი მშრომელები, მოსწავლე ახალგაზრდობა.

* * *

სურათზე, რომელიც ფოტოკორესპონდენტმა ს. თევზაძემ გადაიღო, თქვენ ხედავთ სწორედ იმ ადგილს, რომელიც ამ ორი წლის წინათ წყალდიდობამ წალეკა.

(საქდისის ფოტოქრონიკა).

სსრ კავშირის თასზე

გრძელდება შეჯიბრება ფეხბურთში სსრ კავშირის თასზე. მალე ახალიზობაში ჩაებმებიან უმაღლესი ჯგუფის გუნდები.

თბილისის „ლოკომოტივს“ თასის გათამაშების მორიგი შეხვედრა ასტრახანის „ვოლგართან“ ჰქონდა და გაიმარჯვა 1:0. ბერთი ძალგანიმ გაიტანა.

მეთექვსმეტედფინალში ლოკომოტიველთა მეტოქე იქნება თბილისის „დინამო“. მატჩები გაიმართება 9 და 13 მაისს.

ეი ვინ უნდა შეხვდნენ ერთმანეთს მეთექვსმეტედფინალში: „მეტალისტი“ (ხარკოვი) — „ტორპედო“ (მოსკოვი), „სპარტაკი“ (ოუშკაროლა) — „დინამო“ (მინსკი), „პამირი“ (დუშანბე) — „არარატი“ (ერევანი), „მეტალურგი“ (ლიპეცკი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა), „ყალგირისი“ (ვილნიუსი) — „შახტიორი“ (დონეცკი), „კაირატი“ (ალმა-ატა) — „ნეფტჩი“ (ბაქო), „მეტალურგი“ (ტულა) — „პახტაკორი“ (ტაშკენტი), „ლუჩი“ (ვლადივოსტოკი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი), „ნეფტიანიკი“ (ფერგანა) — „ცსკა, „ტრუდი“ (ეიბორგეკი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი), „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „ტორპედო“ (ქუთაისი).

ნახევარფინალში გავიდნენ

ალმა-ატაში გაიმართა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების მეორე მეოთხედფინალური მატჩი ფრენბურთში ვაჟთა გუნდებისათვის. ადგილობრივი „ბურევესტნიკის“ წინააღმდეგ თამაშობდა ჰოლანდიის ჩემპიონი „ამვეკ“-ს საკლუბო გუნდი. გაიმარჯვეს ალმა-ატელებმა ანგარიშით 3:0 (15:2, 15:12, 17:15) და ნახევარფინალში გავიდნენ. ნახევარფინალში „ბურევესტნიკის“ მეტოქე იქნება უნგრეთის გუნდი.

ც. კახაბრიშვილი — საქართველოს ჩემპიონი

საქართველოს 16 უძლიერესი მოჭადრაკე ეცილებოდა ერთმანეთს არა მარტო რესპუბლიკის 1970 წლის ჩემპიონის წოდებას, არამედ საკავშირო პირველობის ფინალის ორ საგზურსაც.

შეჯიბრება ბრწყინვალედ წარმართა პირველთანრიგოსანმა ციცინო კახაბრიშვილმა, ამ ახალგაზრდა მოჭადრაკეს უკვე საკმაოდ სოლიდური გამოცდილება აქვს. 1957 წელს იგი ჭადრაკს აზიარა მწვრთნელმა შ. ინწკირველმა. შემდეგ ც. კახაბრიშვილი სპორტსაზოგადოება „დინამოს“ საკავშირო ჩემპიონი გახდა გოგონათა შორის,

□

სპასკი კვლავ ლიდერობს

ლენინგრადი, 28 აპრილი. (საკდისი). მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა მიხეილ ბოტვინიკმა 75-ე სვლაზე გაიმარჯვა დანიელ ბენტ ლარსენთან შეხვედრაში გროსმაისტერთა საჭადრაკო მიკროტურნირში. დანარჩენი შედეგები ასეთია: ბორის სპასკი 66-ე სვლაზე ყაიმზე შეუთანხმდა ბოტვინიკს, მშვიდობიანად დამთავრდა 47-ე სვლაზე ლარსენისა და ჰოლანდიელ იან-ჰეინ დონერის შეხვედრა.

ექვსი ტურის შემდეგ წინ არის მსოფლიოს ჩემპიონი სპასკი — 3,5 ქულა (იგი ერთადერთი მონაწილეა, რომელიც არ დამარცხებულა), ბოტვინიკსა და დონერს აქვთ — 3-3, ლარსენს — 2,5 ქულა.

◆

ორჯერ იყო თბილისის ჩემპიონი, ერთხელ — საქართველოს ჩემპიონიც (1966 წ.). საკავშირო ჩემპიონატის ფინალში ახალგაზრდა მოჭადრაკე უკვე ორჯერ მონაწილეობდა.

ც. კახაბრიშვილი ამჯერად შეჯიბრების ერთადერთი დაუმარცხებელი მონაწილე იყო. მან 10 პარტია მოიგო და 5 ყაიმით დაამთავრა, რაც დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს. საქართველოს ახალ ჩემპიონს წვრთნის ოსტატი თ. გიორგაძე.

ბრძოლა მეორე საგზურისათვის მიმდინარეობდა მ. სანაძესა და ნ. ჩიქობავას შორის. ბოლო ტურამდე ისინი თანაბარი შედეგით მივიდნენ. უკანასკნელ ტურში ნ. ჩიქობავა დამარცხდა, მ. სანაძემ კი შეხვედრა ყაიმით დაამთავრა და 11,5 ქულით საკავშირო ჩემპიონატის ფინალში გამოსვლის უფლება მოიპოვა. მანანა სანაძე 17 წლისაა, მაგრამ ფინალში უკვე მეორედ გამოვა. მას ოსტატი რ. ჯინჭარაშვილი წვრთნის.

11 ქულა აქვს ნ. ჩიქობავას, 10,5 ქულა — თ. ხუციშვილსა და თბილისის ჩემპიონ ლ. კოროშინაძეს, 10 ქულა — ოსტატ ც. კობაიძეს.

ბ. ბამრეკელი.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲗᲐᲡᲖᲔ

ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲨᲘ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲗᲐᲡᲖᲔ. ᲛᲐᲚᲔ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐᲨᲘ ᲩᲐᲔᲑᲛᲔᲑᲘᲐᲜ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ �გᲣᲜᲓᲔᲑᲘ.

თბილისის „ლოკომოტივს“ თასის გათამაშების მორიგი შეხვედრა ასტრახანის „ვოლგართან“ ჰქონდა და გაიმარჯვა 1:0. ბერთი ძალგანიმ გაიტანა.

მეთექვსმეტედფინალში ლოკომოტიველთა მეტოქე იქნება თბილისის „დინამო“. მატჩები გაიმართება 9 და 13 მაისს.

ეი ვინ უნდა შეხვდნენ ერთმანეთს მეთექვსმეტედფინალში: „მეტალისტი“ (ხარკოვი) — „ტორპედო“ (მოსკოვი), „სპარტაკი“ (ოუშკაროლა) — „დინამო“ (მინსკი), „პამირი“ (დუშანბე) — „არარატი“ (ერევანი), „მეტალურგი“ (ლიპეცკი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა), „ყალგირისი“ (ვილნიუსი) — „შახტიორი“ (დონეცკი), „კაირატი“ (ალმა-ატა) — „ნეფტჩი“ (ბაქო), „მეტალურგი“ (ტულა) — „პახტაკორი“ (ტაშკენტი), „ლუჩი“ (ვლადივოსტოკი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი), „ნეფტიანიკი“ (ფერგანა) — ცსკა, „ტრუდი“ (ეიბორგეკი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი), „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „ტორპედო“ (ქუთაისი).

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲐ „ᲛᲔᲨᲐᲮᲢᲔᲛ“

სპორტის დამსახურებული ოსტატის შ. შავგულიძის სახელობის თასის გათამაშება ფეხბურთში ტრადიციული შეჯიბრება გახდა. იგი ხელს უწყობს „ბ“ კლასის გუნდების მომზადებას, ფეხბურთელთა დოსტატებას.

ასეთი სახის ასპარეზობა წელსაც ორგანიზებულად მოეწყო. მისი ფინალი გუშინ შედგა თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე ტყიბულის „მეშახტისა“ და ლანჩხუთის „გურიას“ გუნდების მონაწილეობით.

თამაში მიმზიდველი გამოდგა. ორივე გუნდმა აჩვენა შეუპოვარი ბრძოლა. ანგარიში ტყიბულელებმა გახსნეს. ეს მოხდა მე-17 წუთზე. კუთხურიდან ჩამოწოდების შემდეგ „გურიის“ კარის წინ შექმნილი მდგომარეობა კარგად გამოიყენა სირაძემ და იგი ბოლით დაგვირგვინა. 30-ე წუთზე ამას მოჰყვა ჩიხლაძის მეორე ბურთი. ტყიბულელებმა მოიგეს ტაიმი 2:0. მეორე ნახევარში ლანჩხუთელ ფეხბურთელებს ჰქონდათ საპასუხო ბურთის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა, მაგრამ ისინი გამოუყენებელი დარჩა. 72-ე წუთზე „გურიის“ კარში კიდევ ერთი ბურთი აღმოჩნდა. გოლის ავტორი სირაძე იყო.

ტყიბულის „მეშახტემ“ მოიგო ფინალური მატჩი 3:0 და თასი მოიპოვა.

„მეშახტის“ (მწვრთნელი ბ. ჭილიძე) შემადგენლობაში იყვნენ — ბუაძე, გიგიტაკორი, ანდრიეშკო, ლორთქიფანიძე, ჯიშკარიანი, მესიაჩენკო, ფეფერავა, სირაძე, მიქაშავიძე, თოდიძე, ჩიხლაძე.

მატჩის შემდეგ ტყიბულის „მეშახტეს“ საზეიმოდ გადაეცა შ. შავგულიძის სახელობის გარდამავალი თასი.

ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ — ᲕᲝᲚᲮᲝᲕᲘ

ᲒᲛᲘᲠᲗᲐ ᲓᲐᲐᲛᲔᲒᲝᲑᲠᲐ

სერგო კეთილაძე ზესტაფონში დაიბადა. ადრე დაობლდა, მაგრამ ბიძის შალვა კეთილაძისა და დეიდა თამარ კვინიკაძის მშობლიური მზრუნველობით იზრდებოდა.

1928 წელს წარჩინებით დაამთავრა ზესტაფონის პირველი საშუალო სკოლა და საბჭოთა არმიაში მოხალისედ წავიდა. შემდეგ სერგო ამიერკავკასიის სამხედრო სკოლაში სწავლობს. აქ, როგორც მოწინავე კურსანტი, კომუნისტურ პარტიაში მიიღეს.

სამხედრო სკოლის დამთავრების შემდეგ ს. კეთილაძე ასეულის მეთაურად იგზავნება ბორეულ აღმოსავლეთში. ხასანის ტბასთან ბრძოლებში მან თავი გამოიჩინა როგორც უნარიანმა მეთაურმა. სარდლობამ ძვირფასი საათითა და სამახსოვრო ნივთებით დასაჯუქრა...

კარგი მომავლის მქონე ქართველი მეთაური 1939 წელს მოსკოვში — სამხედრო აკადემიაში გაგზავნეს. ის იყო აკადემიას ამთავრებდა, დიდი სამამულო ომი რომ დაიწყო. ფრონტზე წასვლის წინ ბიძისთვის ზესტაფონში გამოგზავნილ ბარათში ს. კეთილაძე წერდა: „ფრონტზე მივდივარ. ჩემი ჯავრი არ გექნეთ. მტრის ტყვია მე ზურგში არასოდეს არ მომხვდება. ან გმირი ვიქნები, ან ვედარ მნახავთ“.

ს. კეთილაძე მართლაც მამაცურად იბრძოდა. 1942 წელს იგი წითელი დროშის ორდენით დაჯილდოეს.

1943 წლის დასაწყისი. მაიორმა ს. კეთილაძემ ვოლხოვისათვის გაფფორებულ ბრძოლებში წაიყვანა თავისი მეომრები. ამ მძიმე ბრძოლებში ს. კეთილაძის ნაწილმა სძლია გერმანელთა ჭარბ ძალებს, მოსპო ათასზე მეტი ჰიტლერელი, ხელთ იგდო დიდძალი დავლა. ამ შეუპოვარი ბრძოლების სული და გული იყო მაიორი ს. კეთილაძე. სწორედ ამ ბრძოლაში მამაცთა სიკვდილით დაეცა ქართველი ვაჟკაცი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 10 თებერვლის ბრძანებულებით მაიორ სერგო პოლიკარპეს-ძე კეთილაძეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

ქართველი გმირი ვერ მოესწრო გამარჯვების დღეს, მაგრამ მისი სახელი უკვდავია, უჭკნობი მარავანდოდით არის მოსილი. ათი წელია, რაც ზესტაფონის პირველი საშუალო სკოლა, სადაც გმირი სწავლობდა, ს. კეთილაძის სახელს ატარებს.

ვოლხოვშიც უკვდავყოფილია ქართველი ვაჟკაცის სახელი. იგი დაკრძალულია ქალაქის ცენტრში, ძმათა სასაფლაოზე. მადლიერმა რუსმა ხალხმა ქართველ გმირს ძეგლი აუგო, მას პიონერმოსწავლეები მოწიწებით უვლიან.

სახელოვანმა გმირმა დაამეგობრა ზესტაფონის № 1 საშუალო და ვოლხოვის № 62 საშუალო სკოლების კოლექტივები. ცნობისმოყვარე და პატრიოტი ვოლხოველი პიონერ-მოსწავლეები დაინტერესდნენ ქართველი გმირის ბიოგრაფიით, მის მიერ განვლილი ცხოვრების სახელოვანი გზით, რომელმაც ვოლხოველები ზესტაფონის № 1 საშუალო სკოლაში მოიყვანა. გაიმართა წერილებისა და ამანათების გაცვლა-გამოცვლა. ამას ზესტაფონში ვოლხოველთა ჩამოსვლაც მოჰყვა. შემდეგ მასწავლებელ ლ. მაჩიტაძის ხელმძღვანელობით ზესტაფონელმა ახალგაზრდებმა მოინახულეს ვოლხოვი. გულითადი შეხვედრები, მეგობრული მიმოწერა გრძელდება.

და აი ზესტაფონელები ესტუმრნენ ვოლხოვს. სტუმრმასპინძლებმა გმირის საფლავი ყვავილებით შეამკეს. აქვე გაიმართა სახელოვანელო მიტინგი. მგზნებარე სიტყვებით გამოვიდნენ ვოლხოვის № 62-ე საშუალო სკოლის დირექტორი გ. ნეფედოვი, უფროსი პიონერხელმძღვანელი ნ. არხიპოვა და სხვები.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ზესტაფონის ს. კეთილაძის სახელობის № 1 საშუალო სკოლის დირექტორმა ა. ლომთაძემ, რომელმაც მადლობა გადაუხადა ვოლხოველ მეგობრებს გულთბილი შეხვედრისათვის და დამსწრეებს უამბო ს. კეთილაძის ჭაბუკობა-სწავლის წლებზე.

ზესტაფონელები გაეცნენ ვოლხოვის ღირსშესანიშნაობებს. მეგობრებმა სამახსოვრო სურათები გადაიღეს. ვოლხოველი მეგობრები გმირის მშობლიურ ქალაქ ზესტაფონში მოიწვიეს.

ორი ქალაქის მეგობრობა თანდათან მტკიცდება...

პ. ჭიოკაძე,

„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

საქართველოს სსრ კომპოზიტორთა კავშირში შეიკრიბნენ რესპუბლიკის მუსიკალური საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მოაწყო კომპოზიტორთა კავშირის მუსიკისმცოდნეობის სექციამ, შესავალი სიტყვით გახსნა კომპოზიტორთა კავშირის მდივანმა ბ. ტორაძემ.

„ლენინის სახე ქართულ ხალხურ მუსიკაში“, „ქართული რევოლუციური სიმღერა“, „გ. სვირიდოვის „პათეტიკური ორატორია“, „რევოლუციის თემა დ. შოსტაკოვიჩის სიმფონიურ შემოქმედებაში“, „ლენინის თემა ქართულ სიმფონიურ შემოქმედებაში“, — ასეთი იყო მოხსენებათა თემატიკა. ამ საკითხების ირგვლივ ვრცლად და დამაჯერებლად ილაპარაკეს მუსიკისმცოდნეებმა ლ. აბულაძემ, თ. კვირიკაძემ, გ. იაშვილმა, მ. ფიჩხაძემ და მ. სალბერგაჩნაძემ.

სამეცნიერო კონფერენცია მიეძღვნა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

ნ. აროშიძე.

თეატრალური ქრონიკა

ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა მ. ბაიჯიევის ერთმოქმედებიანი დრამატული ნოველა „ღუელი“.

პიესაში სამი მთავარი გმირია — ნაზი (აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი ლ. ყარასაშვილი), აზიზი (გ. ქავთარაძე) და ისკანდერი (აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი ა. ტაკიძე).

დადგმა ეკუთვნის რეჟისორ ვ. ჩაიძეს, მხატვრობა — აჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ა. ფილიპოვს.

ცხაკაია. (საკ. კორ.). საკავშირო ფესტივალის ლაურეატმა ცხაკაიას სახალხო თეატრმა წარმოადგინა ნ. ხუნწარიას პიესა „ოხორეშა“. სპექტაკლის დადგმა განახორციელა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა კ. კალანდაძემ, მხატვარია ბ. ბარქაია, მუსიკალური გაფორმების ავტორი — ლ. ჩიხლაძე.

სამტრედია. (საკ. კორ.). **კულტურის რაიონული სახლის სახალხო თეატრმა ამ დღეებში მაყურებელს უჩვენა გ. მდივნის კომედია „ინკოგნიტო“, რომელიც დადგა რეჟისორმა დ. ტაბიძემ. მხატვრობა ეკუთვნის კ. შენგელიას.**



30 აპრილი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — მღერის ვაჟთა ვოკალური კვარტეტი, 06.50 — „სოფლის დილ